



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ზ უ გ დ ი დ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ი კ ე ტ ი ს მ მ რ ი ა  
GEORGIA  
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

N 02/735  
25/12/2017

735-02-2-201712251821



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარეს  
ბატონ მამუკა წოწერას

**ბატონო მამუკა,**

როგორც თქვენთვის ცნობილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების პრიორიტეტის დოკუმენტი და 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი გარკვეული მიზეზების გათვალისწინებით (მუნიციპალიტეტების გაერთიანება, სტრუქტურული რეორგანიზაცია) დადგენილ ვადაში სრულყოფილად ვერ იქნა წარმოდგენილი, რის გამო მრჩეველთა საბჭოს, საკრებულოს კომისიების და ფრაქციების, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტის პროექტის სხდომებზე განხილვისას და შემდგომ პროექტის გაცნობისას გამოითქვა შენიშვნები და მოგვეწოდა წინადადებები. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა, ასახულია ბიუჯეტის პროექტის შესწორებულ ვერსიაში და წარმოგიდგენთ პროგრამულად სრული ფორმატით

-- ბიუჯეტის მოცულობა პროექტის პირველ ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 1 400.0 ათასი ლარით, არასაგადასახადო შემოსავლების გაზრდის ხარჯზე, რისი უზრუნველყოფა გათვალისწინებულია მოხდეს დამატებითი რეზერვების მაქსიმალურად გამოვლენის, ამოქმედების და მობილიზების გზით, რისთვისაც მერიის შესაბამის სამსახურებს განსაკუთრებული ძალისხმევის გამოჩენა მოუწევს.

- შემოსულობების გაზრდა 1400.0 ათასი ლარით, გადასახდელების ნაწილში, მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით

პირველად წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულ თანხებთან შედარებით დამატებით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- 500,0 ათასი ლარი დამატებით არის გათვალისწინებული სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამისათვის, რისი აუცილებლობა გამოიკვეთა სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგების ხელფასების მოწესრიგების, ახალ სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით 2017წ წლის ოქტომბრის თვეში გამოცემული მთავრობის არაერთი დადგენილებათა მიხედვით სანიტარული და ჰიგიენური საკითხების მოგვარების, კვების რაციონის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების და სხვა საკითხების ფინანსური უზრუნველყოფისათვის. ამდენად, სკოლამდელი აღზრდის პროგრამა წარმოდგენილია 5 მილიონი ლარის ფინანსური უზრუნველყოფით, ნაცვლად ადრე გათვალისწინებული 4,5 მილიონი ლარისა. აღნიშნული ცხადია მკვეთრად გააუმჯობესებს რეფორმის შესაბამის სტანდარტებს.

- 200-200 ათასი ლარით იზრდება კეთილმოწყობისა და დასუფთავების პროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებები, რამდენადაც ერთ-ერთი პრიორიტეტის მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნის უმნიშვნელოვანესი პირობაა მიმზიდველი, კეთილმოწყობილი, ჯანსაღი და ეკოლოგიურად სუფთა გარემო რომლის უზრუნველყოფას ემსახურება აღნიშნული პროგრამები.

- 50.0 ათასი ლარით საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა.

- 20.0 ათასი ლარით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებითი უზრუნველყოფის-/უფასო სასადილოების/ პროგრამა.

- 20.0 ათასი ლარით ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა პროგრამა.

- 110.0 ათასი ლარის ოდენობით გათვალისწინებულ იქნა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამა.

- 70.0 ათ. ლარით სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა პროგრამა

- 30.0 ათასი ლარის ოდენობით გათვალისწინებულ იქნა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნასთან ერთად ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვას და მათ ხელმისაწვდომობას მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობებისა და ტურისტული ადგილების ინფორმაციების მოპვებასა და დათვალიერებაში.

-20.0 ათასი ლარის ოდენობით გაიზარდა ნიჭიერ ბავშვთა ხელშეწყობის პროგრამა.

-160.0 ათასი ლარით კულტურისა და ხელოვნების პროგრამა.

20.0 ათასი ლარით სკოლისგარეშე სწავლისა და სახელოვნებო სკოლების

დანართი: 1. ზუგდიდის მუნიციპალატეტის 2018-2021 პრიორიტეტების დოკუმენტი 44 ფურცელი.

2. 2018 წლის პროგრამული ბიუჯეტი 46 ფურცელი.

3. 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი ახალი ვერსია 12 ფურცელი.

დანართი სულ: 102 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა გოგია

ზუგდიდის მუნიციპალატეტის მერი

